ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 1

ქ. თბილისი 01. 05. 2015წ.

შპს კორპორაცია „კოლხა",მისი დირექტორი დაყით ბაძგარაძის სახით, შემდგომში „მეიჯარე", ერთის მხრივ და შ.პ.ს „დდჯ"– მისი დირექტორის ირინე გოგუას სახით. პ. № 48001004344, ს.კ. 202460522, იურიდიული მისამართი: თბილისი, ცაბაძის ქ. № 8

შემდგომში „მოიჯარე", მეორეს მხრივ, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. „მეიჯარემ" მიაქირავა „მოიჯარეს" გ. ცაბაძის ქ. №8-ში მდებარე ბაზრობაზე 176 კვ.მ ფართი სამეწარმეო საქმიანობისათვის. ამასთან, ამ ხელშეკრულებით, „მოიჯარე" ალიარებს ნაქირავები ფართის მიმართ „მეიჯარის" საკუთრების უფლებას და ამ უფლებას „მოიჯარე" არასდროს არ გახდის დავის საგნად;

2. „მეიჯარე" უზრუნველყოფს: ბაზრობის მუშაობას სათანადო განრიგით, მისი ელექტროენერგიით, წყლით და გაზით მომარაგებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და ნაგვის ორგანიზებულ გატანას. „მეიჯარე" არ ჩაერევა „მოიჯარის" სამეწარმეო საქმიანობის წარმართვაში;

3. „მოიჯარე" პასუხისმგებელია კანონმდებლობის წინაშე დაქირავებულ ობიექტზე სამეწარმეო საქმიანობის, სანიტარული და სახანძრო უსაფრთხოების, პროდუქციის ხარისხისა და რეალიზაციის წესების შესრულებაზე. „მოიჯარეს" უფლება აქვს აღჭურვოს დაქირავებული ფართი ქვედა საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობებით. „მოიჯარის" მიერ იჯარით აღებული ფართის სხვა პირზე ქვეიჯარით გაცემისას, ქვემოიჯარე, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ადასტურებს საკუთარ ვალდებულებას, რომ შეასრულებს „მოიჯარის' მაგივრად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქვედა პირობას.

4. „მოიჯარე" თანახმაა, ურთიერთშეთანხმების ფორმით, გადაუხადოს „მეიჯარეს" დაქირავებული ობიექტის საიჯარო ქირა დღგ-ის ჩათვლით ყოველთვიურად 1720 ლარი. საიჯარო ქირა სხვა საწარმოო ხარჯებთან ერთად მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯებს. „მოიჯარე" გადაუხდის „მეიჯარეს" აგრეთვე კომუნალური მომსახურეობის, ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის საფასურს, მათი ფაქტიური მოხმარების შესაბამისად.

5. ეს ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 01.05.16. ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეწყდება თუ რომელიმე მხარემ არ შეასრულა ხელშეკრულების რომელიმე პირობა, ან თუ რომელიმე მხარემ საკუთარი მოსაზრებით თვითონ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილა მეორე მხარე;

6. მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით ან არსებული კანონმდებლობით.

„მეიჯარე"
დ.ბაძგარაძე

შპს კორპორაცია „კოლხა"
ს/კ 201952333
ტელ: 2343083: 2345504
საქართველოს ბანკი
BAGAGE22
GE71BG0000000383823100

„მოიჯარე"
ი.გოგუა

ს/ნ 202460522
ტელ:. 551 32 35 35

ქვემოიჯარე

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
კორპორაცია
კოლხა

Ltd. Association
corporation
kolkha

საქართველო 380012
ქ.თბილისი, გ.ცაბაძის ქ. №8
ტელ.: 2 34 30 83. 2 95 66 48

№8, G.Tsabadze str.
Tbilisi 380012, Georgia
tel.: 2 34 30 83, 2 95 66 48

№ 19

"10" 08 2015წ

ქ. თბილისის მერიის საარქიტექტორო სამსახურს

შპს კორპორაცია „კოლხა" აძლევს ნებართვას შპს „დდჯ"-ს მის მიერ იჯარით აღებულ შენობაზე, განახორციელოს ფასადის მოწყობის სამუშაოები.

შპს კორპორაცია „კოლხა"ს დირექტორი: დ. ბაძგარაძე